თქვენი მ/წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება N5375214-ის მე-2 პუნქტის ხარვეზთან დაკავშირებით განგიმარტავთ, რომ:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255-ე დადგენილება ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" განმარტავს არქიტექტურული პროექტის შემადგენლობას. რომელიც დადგენილების V თავშია მოქცეული.

აღნიშნული დადგენილების **V თავი** მოიცავს **მშენებლობის ნებართვის მისაღებად** წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს და **არა არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისთვის** საჭირო დოკუმენტებს.

უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ 2020 წლის 20 ივლისის საქართველოს კანონი ,,სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი", რომელიც სპეციალურ საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს და რომლის მიზანია არქიტექტურული და სამშენებლო საქმიენობის სამართლებრივი მოწესრიგება პროექტის შეთანხმებისთვის წარსადგენ დოკუმენტად არ უთითებს საინჟინრო კუმუნიკაციების ქსელების სქმეების წარდგენას (,,შემდგომში MEP"). გასათვალისწინებელია ის გარემობაც, რომ 255-ე დადგენილების მე-5 თავის მე-13 მუხლი ამისამართებს ზემოაღნიშნული კოდექსის 108-ე მუხლზე.

კოდექსის 108-ე მუხლი, განსაზღვრავს პროექტის შეთანხმებისთვის საჭირო დოკუმენტაციას, რომელსაც ასევე გადავყავართ ამავე კოდექსის 106 ე მუხლის ,,ბ" ,,გ" ,,ვ" და ,,თ" პუნქტებზე.

კოდექსის არც 108-ე და არც 106-ე მუხლის შესაბამისი პუნქტებით არ მოითხოვება MEP -ს წარმოდგენა, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე. გამომდინარე იქიდან, რომ საინჟინრო კომუნიკაციების ქსელების (ელგაყვანილობის, გაზმომარაგების, გათბობა-ვენტილაციის, წყალმომარაგების და წყალარინების) სქემები, მათი დეტალური ნახაზები და სპეციფიკაციები მოთხოვნილია მხოლოდ მშნებლობის ნებრათვის მისაღებად წარსადგენ დოკუმენტებში **(ერთიანდება V თავში).**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვთვლით, რომ პროექტის შეთანხმების ეტაპზე არ მოგვეთხოვება საინჟინრო კომუნიკაციების ქსელების სქემების წარმოდგენა. აღნიშნული დოკუმენტაცია ჩვენს მიერ, წარმოდგენილ იქნება მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარმოდგენილ სანებართვო დოკუმენტაციაში.

შესაბამისად მოგმართავთ თხოვნით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეითანხმოთ პროექტი.